



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

აკადემიური წოდების მინიჭების წესი

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 16/05/2022 წ. - ოქმი №20 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური

დაამტკიცა: მმართველი საბჭო

დოკუმენტის No: IBSU.R1I8.G

ვერსია: 1.00

განახლების
26/12/2022

თარიღი:

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

დამტკიცების
16/05/2022

თარიღი:

იბსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები 3

ცვლილებების ნუსხა 4

თავი I. ზოგადი დებულებები..... 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები..... 5

მუხლი 2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესი..... 5

მუხლი 3. ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი..... 5

მუხლი 4. ემერიტუსის ანაზღაურება 6

მუხლი 5. ემერიტუსის კომპეტენცია 7

მუხლი 6. აკადემიური წოდების შეწყვეტა..... 7

მუხლი 7. აკადემიური წოდების მინიჭების პროცედურა..... 7

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
1.	მმართველი საბჭო	39	26.12.2022

თავდაპირველი რედაქცია: 16.05.2022

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	26.12.2022	1	ზოგადი დებულებები
02	26.12.2022	2	საკვალიფიკაციო დოქტორის წოდების მინიჭების წესი
03	26.12.2022	3	ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ეს წესი არეგულირებს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“/„იბსუ“) მიერ აკადემიური წოდების მინიჭების პროცესს.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

- 1.2. უნივერსიტეტს უფლება აქვს, მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.

მუხლი 2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესი

- 2.1. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს:
- ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევა;
 - ბ) საზოგადოების წინაშე არსებული დამსახურება;
 - გ) საგანმანათლებლო სფეროსათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახური.
- 2.2. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს პირს, მიუხედავად იმისა ეკავა/უკავია თუ არა მას უნივერსიტეტში აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობა.
- 2.3. საპატიო დოქტორის წოდების მქონე პირებზე, ამ სტატუსიდან გამომდინარე, არ გაიცემა ანაზღაურება .
- 2.4. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.
- 2.5. საპატიო დოქტორის წოდებაზე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს სკოლის საბჭოს ან რექტორს.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

მუხლი 3. ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი

- 3.1. ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირს, რომელიც უნივერსიტეტში ეწევა/ეწეოდა ნაყოფიერ სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

3.2. ემერიტუსის წოდებაზე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს სკოლის საბჭოს ან რექტორს.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

3.3. პირს ემერიტუსის სტატუსი ენიჭება უვადოდ.

3.4. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება თუ აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ მოცემულ პირობას:

ა) მიაღწია 65 წლის ასაკს;

ბ) წოდების მინიჭების თაობაზე წარდგენამდე ეკავა უნივერსიტეტში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა;

გ) აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 20 წლიან და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;

დ) მისი სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელობა აღიარებულია ეროვნულ ან/და საერთაშორისო დონეზე.¹

3.5. ემერიტუსის წოდება პირს შეიძლება მიენიჭოს პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის ვადის გასვლის შემდეგ. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის ემერიტუსის წოდების მინიჭება აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით. ემერიტუსის წოდების მინიჭებისთანავე იგი თავისუფლდება აკადემიური თანამდებობიდან.

3.6. პირს ემერიტუსის სტატუსი ენიჭება სამუდამოდ.

მუხლი 4. ემერიტუსის ანაზღაურება

4.1. მმართველი საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რექტორის აქტით განისაზღვრება ემერიტუსის წოდების მქონე პირისთვის ანაზღაურების მიცემის საკითხი.

4.2. ემერიტუსის წოდების მქონე პირის ანაზღაურების წესი ან/და ემერიტუსის წოდების მქონე პირის ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა გადაიხედოს/შეიცვალოს უნივერსიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტის მიხედვით.

¹ შეფასების მიზნებისათვის, მხედველობაში მიიღება ციტირების ინდექსების რაოდენობა, გამოცემული ნაშრომების მნიშვნელობა და სხვა მსგავსი ტიპის მახასიათებლები.

მუხლი 5. ემერიტუსის კომპეტენცია

- 5.1. ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობა.
- 5.2. ემერიტუსის წოდების მქონე პირმა შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში, შეასრულოს როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი სამუშაო.

მუხლი 6. აკადემიური წოდების შეწყვეტა

- 6.1. აკადემიური წოდების გაუქმების საფუძვლებია:
 - ა) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება (მოქმედებს მხოლოდ ემერიტუსის შემთხვევაში);
 - ბ) საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევა ან/და უნივერსიტეტის ინტერესების შემლახავი ქმედების განხორციელება.

მუხლი 7. აკადემიური წოდების მინიჭების პროცედურა

- 7.1. პირს, რომელსაც მიენიჭება საპატიო დოქტორის (Doctor honoris causa) ან ემერიტუსის წოდება, საზეიმო ვითარებაში გადაეცემა შესაბამისი დიპლომი, დაბეჭდილი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- 7.2. მმართველი საბჭო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, მსჯელობს აკადემიური წოდებების მინიჭების შესაძლებლობაზე.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge

